განკარგულება:**g-31. 31231782**
თარიღი:**27/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №38

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური 91744.00 (ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) - ლარი შემცირდეს 70% - ით და განისაზღვროს 27 523.2 (ოცდაშვიდი ათას ხუთას ოცდასამი ლარი და 20 თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვა განხორციელდეს იგივე პირობებითა და შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10 % - ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 2752,32 ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი